<u>ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები</u>

<u>III კვარტალი, 2021</u>

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია

2020 წლიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შემდგომში-სამინისტრო), ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საფრთხეებისა და სამინისტროს მიერ ამ კუთხით განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია ხორციელდება ოთხი მიმართულებით: კიბერდანაშაული, კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგი და ნარკოდანაშაული. კამპანია მოიცავს, ვიდეორგოლების დამზადებასა და განთავსებას ტელევიზიებში, კამპანიას სოციალურ მედიაში და ა.შ. სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმებსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის "Facebook" და "Instagram" გვერდებზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ. აგრეთვე კიბერდანაშაულის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით პერიოდულად ქვეყნდება ბანერები/პოსტერები. სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი რეგულარულად ახდენს საზოგადოების ინფორმირებას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებებისა და ამ მიმართულებით, სამინისტროს მიერ მიღწეული შედეგების შესახებ.

• 2021 წლის 30 ივლისს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით - სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სოციალურ მედიაში - "Facebook" და "Instagram" გვერდებზე საინფორმაციო ბანერი და გრაფიკული ვიდეო განთავსდა. აღნიშნული გრაფიკული ვიდეორგოლის და ბანერის მიზანია, აამაღლოს მოსახლეობის ცნობიერება, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ტრეფიკინგისგან, რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და ყურადღების გამახვილება დამსაქმებლებთან მიმართებაში, რა ინფორმაცია უნდა იქნეს მოძიებული კომპანიისა თუ დამსაქმებელი პიროვნების შესახებ და თუ მაინც პიროვნება გახდება მსხვერპლი, როგორ უნდა *იმოქმედოს* აღნიშნულ ვითარებაში.

• 2021 წლის 22 სექტემბერი სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებისათვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკადემიაში გაიმართა სწავლება, თემაზე - „კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა". სწავლება ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, ასევე, ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით განხორციელდა. სასწავლო კურსის

მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კიბერუსაფრთხოების კუთხით უწყებათშორისი თანამშრომლობა, ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და ამ მიმართულებით მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი -112

• 2021 წლის 12 აგვისტო - საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა ,,112" (შემდგომში-112) კოვიდ ინფიცირებულთათვის ახალი პორტალი აამოქმედა. მოქალაქეებს, რომლებსაც დაუდასტურდათ COVID-19 შესაძლებლობა აქვთ პორტალზე დარეგისტრირდნენ. საჯარო სამართლის იურიდიული პირი 112-ის მიერ მიღებული ინფორმაცია მუშავდება და შემდგომი მონიტორინგისათვის გადაეცემა ოჯახის ექიმს. ახალი პორტალის დანერგვის მიზანს, ერთის მხრივ მოქალაქეებისთვის დამატებითი საკომუნიკაციო არხის შექმნა და მეორეს მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი 112-ში განხორციელებული ზარების შემცირება წარმოადგენს. აღნიშნული სიახლის შესახებ ინფორმაცია განთავსდა „112“-ის ოფიციალურ სოციალურ მედია Facebook გვერდსა და სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე გავრცელდა სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს მეშვეობით.

სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

• სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ხანძრების, ბუნებრივი სტიქიების და კატასტროფების დროს პირველი *მორეაგირე* ძალაა და ასეთ სიტუაციებში მნიშვნელოვანია მოსახლეობის სწორი ინფორმირება. როგორ ვიმოქმედოთ თითოეული შემთხვევისას, რათა დროულად ავიცილოთ საფრთხეები. ამ კუთხით ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური პოლონეთის მხარდაჭერით მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. სექტემბრის თვის განმავლობაში განხორციელდა ოთხი სატელევიზიო ეთერი (ტელეკომპანია „რუსთავი 2“) და გაშუქდა ისეთი თემები როგორიც არის: ტყის და მინდვრის ხანძრების პრევენცია, ურბანული ხანძრები, მთაში და წყალზე სამაშველო ღონისძიებები.

• დაწყებულია და მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდება პროექტი „მოხალისე“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში *ტელე*-ეთერების საშუალებით იგეგმება მნიშვნელოვანი თემების გაშუქება - მიწისძვრები, წყალდიდობა და მეწყერი, აგრეთვე სახანძრო ზედამხედველობა. გარდა ამისა, ცნობიერების ამაღლების მიზნით გრანტის ფარგლებში დამზადდება ბანერები, საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც განთავსდება დაცულ ტერიტორიებზე, ტყის მასივების მისადგომებთან.

სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი

• 2021 წლის 3 ივლისი - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ორგანიზებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს იმერეთის რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და ქუთაისის იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება, მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა და საქართველოს თავშესაფრის სისტემა“ . შეხვედრაზე აჭარის რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები გაეცნენ ინფორმაციას საქართველოში არსებულ თავშესაფრის სისტემასა და ინტეგრაციის საკითხებს. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა იმერეთის რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და ქუთაისის იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლება მოქალაქეობის, მოქალაქეობის არმქონეობისა და თავშესაფრის საკითხებზე.

• 2021 წლის 14 ივლისი - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ორგანიზებით, ქუთაისსა და ზუგდიდში გაიმართა შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლებას მოქალაქეობის, მოქალაქეობის არმქონეობისა და თავშესაფრის საკითხებზე. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და საერთაშორისო დაცვის მქონე პირები.

სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

• 2021 წლის ივლისი - კამპანიის #ნუწაართმევბავშვობას ფარგლებში, ბავშვობის ასაკში ქორწინების თემატიკასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს თანამშრომლებმა სხვადასხვა რეგიონებში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართეს. დმანისის მუნიციპალიტეტში შეხვედრას ესწრებოდა 21 მოსწავლე. მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლაში შეხვედრას ესწრებოდა 16 მოსწავლე და 4 პედაგოგი. ბორჯომის N1 საჯარო სკოლაში 32 მონაწილე. მსგავსი შინაარსის შეხვედრა გაიმართა სტუდენტებთანაც, სადაც შეხვედრას ესწრებოდა 57 მონაწილე. შეხვედრები გამართეს სოფელ ალგეთის და თეთრიწყაროს ახალგაზრდულ ცენტრებში ქალებსა და გოგონებთან, ასევე ქალაქ მარნეულის ავერსის კლინიკის სამედიცინო პერსონალთან.

• 2021 წლის 13 ივლისს - კამპანიის #ნუწაართმევბავშვობას ფარგლებში, ბავშვობის ასაკში ქორწინების, ამ მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დაგეგმილი და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების და რეფერირების სუბიექტებთან კოორდინირებული მუშაობის თემატიკასთან დაკავშირებით, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს თანამშრომლებმა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ახალციხის ოფისში. შეხვედრას

ესწრებოდნენ ახალციხის, ადიგენის და ვალეს სკოლის დირექტორები, ახალციხის ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები და რესურსცენტრის თანამშრომლები, სულ 24 მონაწილე.

• „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი" 2021 წლის 21 ივლისს, ჩაატარა ონლაინ შეხვედრა: საზოგადოების როლი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში". შეხვედრაზე მომხსენებლებად მოწვეულნი იყვნენ სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი და მართლწესრიგის ოფიცერი. სპიკერებმა ისაუბრეს საზოგადოების როლზე, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოძიებას, მიმართვიანობის გაზრდას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 70-ზე მეტი წარმომადგენელი;

• „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი" 2021 წლის 28 ივლისს, ჩაატარა ონლაინ შეხვედრა: "სექსუალური შევიწროება და გენდერული ნიშნით ძალადობა - შემთხვევების სტატისტიკა და გამოწვევები". შეხვედრაზე მომხსენებლებად მოწვეულნი იყვნენ სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მოვალეობის შემსრულებელი და სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელი. სპიკერებმა ისაუბრეს სექსუალური შევიწროების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სტატისტიკაზე, შეაფასებენ პანდემიის გავლენას მსგავსი შემთხვევების მართვასთან დაკავშირებით და განიხილეს პრაქტიკულ მაგალითები, თუ როგორ რეაგირებს სახელმწიფო სექსუალური შევიწროების და გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტებზე. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 60-ზე მეტი წარმომადგენელი.

• 2021 წლის 28 ივლისს სტუდენტების ორგანიზებით ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, თემაზე: „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები“, შეხვედრაზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: დისკრიმინაცია, მისი განხორციელების ფორმები, დანაშაული, შემადგენელი ელემენტები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, ადგილობრივი კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული რეგულირება, შეხვედრას ესწრებოდა 50-ზე მეტი სტუდენტი, სპიკერი - სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი.

• 2021 წლის 28 - 30 ივლისს, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა, მონაწილეობა მიიღო „გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებულ სასამართლო პროცესში“, აღნიშნული იმიტირებული პროცესი წარმოადგენს სასწავლო ხასიათის შეჯიბრს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისგან შემდგარი გუნდები. იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში.

- 2021 წლის ივლისი - აგვისტოს პერიოდში, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტისა და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის (NCCE) ერთობლივი თანამშრომლობით, საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური შევიწროების თემაზე ორი ვიდეო რგოლი დამზადდა: პირველ ვიდეო რგოლში სამინისტროს, ასევე, სხვა რელევანტური უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ, თუ რა არის საზოგადოებრივ ადგილებში განხორციელებული სექსუალური შევიწროება, როგორ განიმარტება ნორმის თითოეული ელემენტი და ვის უნდა მიმართონ პირებმა, თუკი სექსუალურ შევიწროებას დაექვემდებარებიან ან/და ფაქტის შესახებ ინფორმაცია ექნებათ. ვიდეო რგოლი როგორც ქართული, ისე სომხური და აზერბაიჯანული ტიტრებით გავრცელდა სოციალური ქსელის მეშვეობით. მეორე ვიდეო რგოლში საუბრობს სექსუალური შევიწროების ორი რეალური მსხვერპლი, რომლებიც *საუბრობენ* საკუთარი გამოცდილების, ასევე, განხორციელებული რეაგირების შესახებ და მოსახლეობას მომართვისაკენ მოუწოდებენ. აღნიშნულ ვიდეო რგოლებთან ერთად, ასევე დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელთან (NCCE) თანამშრომლობით, დამზადდა საინფორმაციო პოსტერები სექსუალური შევიწროების თემაზე.